

ბულის მრავალკრიტერიალური ოპტიმიზაციის ამოცანების ამოხსნის
ერთი მეთოდის შესახებ

ბეჟან ღვაბერიძე

bezhan.ghvaberidze@tsu.ge

კომპიუტერული მეცნიერებები, თეორიული ინფორმატიკა თსუ, ჭავჭავაძის პრ. 3.

მრავალკრიტერიალური ოპტიმიზაციის ამოცანების ამოხსნის ყველაზე გავრცელებულ მეთოდად ითვლება ამოცანის დაყვანა სკალარულ (ერთკრიტერიალურ) ამოცანამდე, რომლის მიზნის ფუნქციაც წარმოადგენს საწყისი კრიტერიუმების გარკვეულ კომბინაციას. ყველაზე ხშირად გამოიყენება კრიტერიუმების წრფივი ნახვევი. ამ მიდგომას ამოცანის ანალიზის და ამოხსნის პროცესში პრინციპული სიახლე არ შეაქვს, რადგან ძირითადად ემყარება ერთკრიტერიალური ამოცანების ამოხსნის ცნობილ მეთოდებს,

ბულის ბიკრიტერიალური ოპტიმიზაციის ამოცანებისთვის განხილულია მეთოდი, რომელიც ემყარება კრიტერიუმების დალაგების პრინციპს.